ცალკე ნომერი 3 კაპ.

ლამპარი

თფილისი

შაბათი, 10 (23) ივნისი

1906

წელიწადი პირველი

№ 38 ყოველდღიური გაზეთი № 38

ნოე ჟორდანიას დეპეშა პეტერბურგიდან.—როგორ დაუხვდნენ ჩვენს დეპუტატებს პეტერბურგში.—დუმა განსაცდელშია.—დუმაში მინისტრები ააბუჩადებენ—სიკვდილით დასჯა უკანონო არაა.—უკიდურესი მემარცხენენი მინისტრებს ხულიგანებს უწოდებენ,—ლაპარაკის ნებას არ აძლევენ, მათ „ოტსტავკას" მოითხოვენ.—სევასტოპოლის ჯარში აჯანყებაა იფეთქა.—თფილ. გ.-გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა—დაინახოთ თუ არა, ქუდი მოიხადეთო.—თფილისში გაფიცვები გახშირდა.—კახეთში გლეხები გაიფიცნენ. მუშები პროტესტს უცხადებენ ანარქისტებს.

რედაქცია ბოდიშს იხდის ხელის მომწერთა და მკითხველების წინაშე, რომ ეს ოთხი დღეა ჩვენი გაზეთი სრულიად არ გამოსულა, ხოლო დღეს კი მხოლოდ ნახევარი ნომერი გამოდის. გაზეთის ასეთი შეფერხების მიზეზს მკითხველი ქვემოთ გაიგებს.

რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს—გაზეთის გამოცემა, რაც შეიძლება მალე, კვლავ ნორმალურ პირობებში ჩააყენოს.

დეპეშა

(საკუთარი)

პეტერბურგი. 8 ივნისი. მოვედით შვიდ ივნისს. სადგურზე დაგვხვდნენ პეტერბურგის ფაბრიკების და ზავოდების მუშათა დეპუტაციები; მოგვთხოვეს შევადგინოთ საპარლამენტო ფრაქცია მუშათა პარტიისა; ვიმოქმედოთ გაბედულათ და მედგრათ; დაგვპირდნენ თავდადებით მხარი დაგვიჭირონ. სალამი ამხანაგებს.

ნოე ჟორდანია.

სიღნაღი. 9 ივნისი. ეს მეორე დღეა გაფიცული არიან მუშები და ნოქრები.

საარაკო თვითნებობა

ჩვენი ბიუროკრატები, როცა დაჭირდებათ, ლიბერალობას ტრაბახობენ—ჩვენს ქვეშევრდომებს ჩვენგან პრესის თავისუფლება აქვთ მინიჭებულიო. უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს რუსეთში მართლაც არსებობს პრესის „თავისუფლება", მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ თავისუფლების დამყარებაში ჩვენს ბიუროკრატებს სრულიად არავითარი წილი არ უდევთ; პირიქით ისინი მთელი თავიანთი თოფ-ზარბაზნებით ებრძოდენ და ებრძვიან ყოველგვარ თავისუფლებას და, მაშასადამე, პრესის თავისუფლებასაც. მხოლოდ რაკი ძლევა-მოსილ რევოლიუციის მძლავრი ზედ-მიწოლის გამო თოფ-ზარბაზნებით პრესის ჩაჩუმება ყოვლად შეუძლებელი გახდა, მთავრობაც იძულებული შეიქნა ხელი აეღო სიზიფის მუშაობაზე. მაგრამ პრესის მთლათ მის ნებაზე მიშვებაც მთავრობას ვერ მოუნელებია და აი ის ყოველგვარ ხრიკებს ხმარობს მის ასალაგმათ. ასეთ ხრიკების გამოგონებაში მთავრობა სწორეთ გასაშტერებელ „შემოქმედებით ნიჭს" იჩენს, უკეთ რომ ვთქვათ, სწორეთ გასაშტერებელია მისი განურჩევლობა ასეთი ხრიკების ხმარებაში, და მისი აგენტები, განსაკუთრებით ადგილობრივი პამპადურები იოტისოდენათაც თავს არ იწუხებენ იმაზე ფიქრით, თუ რამდენათ „ლამაზია" ესა თუ ის მათი მოქმედება „თავგასულ" ჟურნალ-გაზეთების წინააღმდეგ, არავითარ ყოვლად უგუნურ და უსირცხვილო ზომებს არ ერიდებიან, ოღონდ-კი მიზანს მიაღწიონ. მათ საქციელს ამ შემთხვევაში საკმაო არ არის თვითნებობა ვუწოდოთ, საქციელი ყოველ თვითნებობას გადააჭარბებს. მთელ რუსეთში დღეს ყველა პამპადურები, ყველა გუბერნატორები და გენერალ-გუბერნატორები თითქო ერთმანეთს ეჯიბრებიან ასეთ მოქმედებაში, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ჩვენებურ გენერალ-გუბერნატორებს ამ მხრივ ვერავინ ცალს ვერ დაუდებს. ერთ-ერთ შედევრს ჩვენებურ გენ.-გუბერნატორების საარაკო თვითნებობისას წარმოადგენს ამ დღეებში სტამბების დაკეტვა თფილისში. თფილისის გენ.-გუბერნატორმა დაკეტა ამხანაგობის „შრომის" სტამბა იმიტომ, რომ მასში იბეჭდებოდა მთავრობისაგან ნება-დართული გაზეთი „ХОДИТЕ ВЪ СВѢТѢ" (იგივე „ВСТАНЬ, СПЯЩІЙ"!); დაკეტა აგრეთვე სტამბა „ცისკარი" იმიტომ, რომ იქ ნება დართული გაზეთი „ნაროდი" იბეჭდებოდა. სწორეთ ამაზე იტყვიან: „ცხენს ვერაფერი დააკლო, უნაგირი დაამტვრიაო". რა დაუშავა სტამბამ? რისთვის სჯის მას მთავრობა? იმისთვის, რომ სტამბა მთავრობისაგანვე ნება-დართულ გაზეთს ბეჭდავს? მაგრამ ყველა სტამბას ხომ ნება აქვს ბეჭდოს ყველაფერი „ნება-დართული"?! ასეთ უფლებას ხომ თვითმპყრობელობაც ანიჭებს ყველას. გენ.-გუბერნატორი კი არღვევს ამ კანონს. აშკარაა, თვითმპყრობელობის დასაცველათ დღეს მისი აგენტებისათვის აუცილებლათ საჭირო გამხდარა ყოველ-გვარი კანონის ფეხქვეშ გათელვა. როცა მთავრობა ნება დართულ გაზეთების ბეჭდვისთვის სტამბებს კეტავს, მისი მიზანი ცხადია: თვით გაზეთების დაკეტვით რომ მთავრობა ვერას გამხდარა, რადგან დაკეტილ გაზეთის ნაცვლათ მეორე დღეს სხვა, ისეთივე გაზეთი გამოდის, მას გადაუწყვეტია ასეთ გაზეთების მბეჭდავ სტამბების დაკეტვით ყველა მესტამბეები დააშინოს, რომ ველარ გაბედოს „კრამოლნიკურ" გაზეთების ბეჭდვა.

ამას არ კმარობს გამოთაყვანებული მთავრობა და სტამბის დაკეტვით გამოსვლის საშუალებას უსპობს ისეთ გაზეთებსაც, რომლების მოსპობაც თითქო ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია. ასეთ მდგომარეობაში ჩააყენა თფილისის გენ.-გუბერნატორმა „შრომის" სტამბის დაკეტვით ჩვენი გაზ. „ლამპარი". ვერავითარმა თხოვნამ, ვერავითარმა დარწმუნებამ ვერ გასჭრა გრძნობა და ჭკუა გაქვავებულ პოლიციელებზე და ვერ ჩაახვედრა ისინი, რომ ნება დაერთოთ „ლამპარი" მთელი მისი მოწყობილებით—ასოებით და სხ. სტამბიდან გამოეტანათ.

ამნაირათ მთავრობამ, მოსპო რა პრესისათვის წინასწარი ცენზურა, ბევრი მხრით წინანდელზე უარეს მდგომარეობაში ჩააყენა იგი. აქვე ზედმეტი არ იქნება შევნიშნოთ, რომ ბროშიურების და სხვა არა-პერიოდულ გამოცემებ-სათვის წინასწარ ცენზურის მოსპობითაც შეღავათის მაგიერათ ბევრი ახალ-ახალი შევიწროება მოემატა გამომცემლებს. წინათ, წინასწარ ცენზურის არსებობის დროს, გამომცემელი, როცა, მაგალ., ბროშიურის ბეჭდვას შეუდგებოდა, დარწმუნებული იყო, რომ გამოცემის ხარჯს ტყვილათ არ გასწევდა, ახლა კი, წინასწარ ცენზურის მოსპობის შემდეგ, მას არა ერთხელ მოუხდება აუარებელ ფულის წყალში გადაყრა, რადგან საკმაოა ცენზორი უხეირო გუნებაზე იქნეს, რომ უკვე დაბეჭდილი, ხარჯ-გაწეული წიგნი დაიჭიროს და გასაყიდათ არ გაუშვას.

ასეთი ხრიკებით, ხალხის ასეთი გალიზიანებით აპირებს რევოლიუციის მოსპობას წყალ-წაღებული მთავრობა.

დუმა განსაცდელშია!

მთავრობამ მუშათა დეპუტატების სამართალში მიცემა გადაწყვიტა. უკეთ რომ ვთქვათ მთავრობამ გადაწყვიტა ხალხის წარმომადგენლებიდან გაძევოს მისთვის არა სასურველი მუშათა დეპუტატები.

ყველასათვის აშკარაა, რომ დუმის წევრებს სატრიბუნოს გარეშე შეუძლიათ კრებებზე გამოვიდენ, გაზეთებში წერონ მოწოდებითაც მიმართონ ამომრჩევლებს და სხვა.

როცა მთავრობა სასამართლოს საშუალებით შეუდგა დუმის „გაწმენდ-გასუფთავებას", მას, რასაკვირველია, აზრათ ქონდა სამი მეოთხედი დღევანდელი დუმის წევრებისა გაეძევებია. მაშასადამე, „ყოფნა—არყოფნის" კითხვა თავისთავათ დაყენებულია. იყოს დუმა მახინჯი—ხალხის წარმომადგენლებიდან შემდგარი თუ ისეთი წარმომადგენლებიდან, როგორც მთავრობას სურს?

ბ-ნი სტრუვე გაზ. „დუმა"-ში ამბობს: „ხალხის თავისუფლების პარტიამ დაუყონებლივ წინადადება უნდა შეიტანოს დუმაში დეპუტატების ხელ-უხლებლობის შესახებ" და მედგრათაც უნდა მოითხოვოს ამის განხორციელება, თუ გინდ ამან მწვავე კონფლიქტიც გამოიწვიოსო. ბ-ნი სტრუვეც კი შესაძლებლათ სცნობს დუმამ „კანონიერ საზღვარს" გადაუხვიოს.

ყველა ეს ძლიერ კარგია, მაგრამ ჩვენ გვაკვირვებს რათ სდუმს ენაწყლიანი გაზ. „რეჩი"? რა პლანები აქვთ თავში კადეტების „ოსტატ" პუბლიცისტებს გესენს და მილიუკოვს, მაშინ როცა სტრუვე „გადახვევის გზას" ადგება?

გაზ. „ნაროდნი ვესტნიკი" ამბობს, რომ მშრომელთა ჯგუფი წინ წავა და „თავის თავს მუშათა დეპუტატების მომხრეთ" გამოაცხადებსო, ე. ი. მთავრობა იძულებული იქნება არა მარტო 14 კაცი მუშათა დეპუტატები მისცეს სამართალში, არამედ მთელი მშრომელთა ჯგუფი. ეს, რასაკვირველია, ძლიერ კარგია, მაგრამ აქაც ერთი გზაა, რომ იურიდიული ქსელი გაიბას. მშრომელთა ჯგუფმა მუშათა დეპუტატების მოწოდებას ხელი უნდა მოაწეროს თუნდა იმ შენიშვნით, რომ ყველა შიგ გამოთქმულ აზრებს არ ეთანხმება. მხოლოდ უბრალო სოლიდარობის განცხადება კი მშრომელთა ჯგუფისა გაიძვერა პროკურატურას ჯერ-ჯერობით შეძლებას აძლევს, რომ მშრომელთა ჯგუფი სამართალში არ მისცეს.

დუმა განსაცდელშია! 17 ოქტომბრის თავისუფლების ნაშთიც განსაცდელშია! ხალხს უფლება აქვს თავის არჩეულებს მოთხოვნები წარუდგინოს. მას შეუძლია მოსთხოვოს, რომ დუმის არსებობა მთელი ძალ-ღონით დეპუტატებმა დაიცვან. ჩვენ ვუცდით საპარლამენტო ჯგუფი რას იტყვის.

—

მთავრობას რომ არა მარტო მუშათა დეპუტატებიდან დუმის გაწმენდა უნდა, ამას აშკარათ გვიმტკიცებს შემდეგი: სამოსამართლო პალატამ გაზ. „ნაროდნოე დელოს" რედაქტორის ულიანოვის საბრალმდებლო ოქმი დაამტკიცა და ეს დუმის თავმჯდომარეს შეატყობინა. პალატა საჭიროთ სცნობს ულიანოვი დუმის წევრობიდან გამოირიცხოს.

დუმა განსაცდელშია! („კურ.")

პოლიტიკური მიმოხილვა.

ჯარიც შეინძრა!

რუსეთის „ქრისტეს მოყვარე მხედრობა", ეს თვითმპყრობელობის მთავარი ბურჯი კაი ხანია შერყეულია, და ჯერ კიდევ შარშან ძალიან ბევრგან ჯარში მღელვარება ხდებოდა. მაგრამ იმ დროს მოძრაობა ჯარში არ იყო მკვიდრი, და არა ერთხელ გუშინდელი „ბუნტოვშჩიკი" სალდათები დღეს მორჩილათ გადიოდენ ქუჩაში „ბუნტოვშჩიკ" მუშათა დასაწყნარებლათ. იმ დროს ჯარში მხოლოდ ზღვის მხედრები—მატროსები იბრძოდენ ბოლომდის მედგრათ და თავგანწირულათ, არ უშინდებოდენ არავითარ სასჯელს მთავრობისას, არ კმაყოფილდებოდენ მთავრობის მცირე დათმობით; მაშინ, როდესაც ხმელეთის ჯარი მთავრობის ერთი შეტევითაც უკან იხევდა, მისი ნამცეცების მიღებით კმაყოფილდებოდა. ამ მოვლენის მიზეზი ის გარემოება იყო, რომ მატროსები, თვით მათი ხელობის მეოხებით, უმეტეს ნაწილათ შეგნებული ხალხია და ძალიან ბევრი მათგანი ზავოდის მუშათ ნამყოფია, მაშინ როდესაც ხმელეთის ჯარის დიდი უმრავლესობა სოფლის ყრუ გლეხკაცობისაგან შესდგება, რომელიც შარშან ჯერ კიდევ ნაკლებათ იყო რევოლიუციონურათ ამოძრავებული. მაგრამ აი დღეს მთელი რუსეთის გლეხკაცობა ზე აღიმართა და ზღვასავით იწყებს მოძრაობას არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ სასტიკათ ამხედრებული და ეს გარემოება, რასაკვირველია, შეუმჩნევლათ და უგავლენოთ არ რჩება ჯარისთვისაც. გლეხკაცობასთან ერთათ მოძრაობაში მოდის ყველა ის, ვისაც-კი მასთან მახლობელი კავშირი აქვს, და აი ამოძრავდა ჯარიც, ამოძრავდა გაცილებით უფრო ფართოთ, ვინემ ამას შარშან ვხედავდით. გაზეთები ყოველ დღე სავსეა ამბებით ჯარში მღელვარების დაწყების შესახებ. ღელავს ჯარი კურსკში, ღელავს ვორონეჟში, ღელავს პოლტავაში, ევპატორიაში, მოსკოვში და თვით პეტერბურგში, მღელვარება იწყება თვით გვარდიაშიც-კი! ჯარში მოძრაობის გაძლიერებას მეტათ ხელს უწყობენ მანჯურიიდან დაბრუნებული, უკმაყოფილების სულით გაჟღენთილი და ნამდვილ მებრძოლებათ გადაქცეული სალდათები. ვისაც ჯარის შარშანდელმა „მუხანათურმა" მოქმედებამ, „ღალატმა" ჯარის დახმარებაზე იმედი გაუცრუა, ადვილათ ველარ ენდობა მას და ყოველ მის „საწინააღმდეგო" მოქმედებას ეჭვის თვალით დაუწყებს ცქერას. მაგრამ თუ სახეში მივიღებთ, რომ ჯარი ღვიძლი შვილია ხალხის, უმთავრესათ გლეხობის, და რომ ჯარის რევოლიუციონური მოქმედების სიმტკიცე დამოკიდებულია თვით ხალხის მოქმედების სიმტკიცეზე და აგრეთვე გლეხკაცობის ფართო მასის გარევოლიუციონერებაზე,—თუ ყველა ამას სახეში მივიღებთ, დავრწმუნდებით, რომ ჯარის „ღალატი" ამიერიდან ნაკლებ მოსალოდნელია. რასაკვირველია, მთავრობას ჯერ კიდევ შეუძლია ცოტა ხნით დააწყნაროს ხოლმე აღელვებული ჯარი მცირეოდენი დათმობით, როგორც ეს მან უკვე მოახერხა კურსკში, მაგრამ ეს მხოლოდ დროებით შეუძლია მას, და რაც დრო გავა, ჯარში მღელვარება მით უფრო ხშირათ, მით უფრო ძლიერ იჩენს თავს, რადგან რაც დრო გადის, გლეხების და საზოგადოთ ხალხის მოძრაობა საშინელი სისწრაფით იზრდება, ფართოვდება და მთელ იმპერიას ედება.

მართალია, ჯარს ჯერ-ჯერობით უმეტეს ნაწილათ ეკონომიური მოთხოვნები აქვს წამოყენებული, მაგრამ პოლიტიკურ მოთხოვნებსაც დიდი ყურადღებით ეკიდებიან. მაგალ., კურსკში კოზლოვის პოლკმა თავის მიერ გამართულ მიტინგზე ჯეროვნათ დააფასა დღევანდელი პოლიტიკური მომენტი, რომლის შესახებაც დიდხანს იბაასეს. ერთმა ორატორთაგანმა ამხანაგებს ციხეზე მიუთითა და უთხრა: „ამხანაგებო! იქ ჩვენი ძმები არიან—ისინი იტანჯებოდენ ჩვენთვის, მთელი რუსეთის ხალხისათვის, ისინი ცდილობდენ ხალხისათვის მიწის და თავისუფლების მოპოებას. ამხანაგებო! ეს ხომ ჩვენი მოთხოვნებია. დღეს ჩვენ სალდათები ვართ, ხვალ კი გლეხები ან ქარხნის მუშები გავხდებით,—ცხადია ჩვენ ერთი და იგივე მტერი გვყავს მშრომელ ხალხთან ერთათ. მხარი უნდა მივცეთ გლეხებს და მუშებს". კრონშტატშიაც ამ ახლო ხანში სალდათებს და მატროსებს მიტინგები ქონდათ გამართული და იქ სალდათებმა აშკარათ გამოიჩინეს მატროსებთან შეერთების სურვილი, დღემდე მათ შორის შესამჩნევი განხეთქილება სუფევდა.

„ანარქიული" სიბინძურე.

აღელდა, ატორტმანდა რევოლიუციის ზღვა და ცხოვრების ძირიდან ერთიანათ ამოლეკა, ერთიანათ გამოამზეურა იქ მიმალული, როგორც მარგალიტები, ისე ყოველგვარი წუმპე—ტალახი და აი ერთი მხრით ჩვენ თვალებში გვეხატებიან ყოველგვარ კეთილშობილობის მატარებელი ნათელი ადამიანები, მეორე მხრით კი ყოველგვარ ავაზაკობის და სიბინძურის, ჩირქ-ბალღამის მატარებელი კაცუნები. და ასეთი ორი სხვადასხვა გვარი თვისება თავს იჩენს ორი სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებში როგორც ცხოვრებაში, ისე მწერლობაში. ჩვენს მწერლობაში უკვე თავი იჩინა საარაკო სიბინძურემ, რომლის მსგავსი კაცობრიობის შავბნელ წარსულსაც კი არ ახსოვს. ერთი ჯურის კაცუნება, რომლებიც თავის თავს „ანარქისტებს" უწოდებენ, სარგებლობენ-რა დღევანდელი „ანარქიული" მდგომარეობით, ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ როგორმე ჩვენში თავიანთ „ანარქისტულ" სულის კვეთებას ნიადაგი მოუპოვონ, მაგრამ მათ წინ ელობებათ და გასაქანს არ აძლევს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გავლენა. შურით იხრჩობიან კაცუნები. და აი, გაბოროტებული „ანარქისტები" ლაფშ-მოხვევით ანთხევენ პირიდან მთელ იმ შხამ-ბალღამს, რომელიც მათ გულში მოგროვებიათ სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ. უკუნურები ვერ გრძნობენ, რომ ის ლაფი, ის წუმპე, რომელსაც ისინი სოციალდემოკრატებს ესვრიან, მათვე ესხმით თავზე, მათვე საზიზღრათ თხუპნის. არავითარ სალახანობას, არავითარ ტაკიმასხრობას, არავითარ სიმდაბლეს არ თაკილობენ სოციალდემოკრატთა დასამცირებლათ და ნამდვილათ კი ამით მთელ ქვეყანას აშკარა ტაკიმასხრებათ და ყოვლად დამდაბლებულ კაცუნებათ აცნობენ თავის თავს. ჩვენ მადლობის მეტი არა დაგვრჩენია-რა მათთვის, რომ ჩვენდა გაუჩხრელათ თვითონვე უჩვენებენ ყველას თავიანთ ნამდვილ სახეს, მთელ თავიანთ შინაარსს! ამიტომ, მკითხველო, თუ შენ მეტის-მეტათ გაფაქიზებული გრძნობის პატრონი არ ხარ და თუ მოთმინება, ცოტაც არის, შეგწევს, გირჩევთ ანარქისტების „გაზეთის" თუნდა ერთი ნომერი მაინც გადაიკითხო, რომ ერთხელ და სამუდამოთ ნათლათ გქონდეს წარმოდგენილი, თუ ვინ ან რა არის ჩვენებური ანარქისტი.

მუშათა პროტესტი ანარქისტების წინააღმდეგ

ჩვენ, მუშები, აღშფოთებულნი ახლად გამოსულ გაზეთ „მუშის" და აგრეთვე „ნობათი"-ს რედაქციების საზიზღარი ცილის წამებითა და უშვერი ლანძღვა-გინებით, სასტიკ პროტესტს და ზიზღს ვუცხადებთ მათ და ვაფრთხილებთ—ეყოფათ, აწ კი შესდგენ, ჩვენი მოთმინების ფიალა აივსო! ამასთანავე წინადადებას ვაძლევთ გაზ. „მუშის" რედაქციას, „მუშის" სახელით ნუ უშვებს ისეთ გაზეთს, რომელსაც სრულიად არ შეეფერება ასეთი სახელწოდება. ჩვენ, მუშებს, გვესმის სხვა და სხვა პარტიათა შორის იდეიური ბრძოლა, მხოლოდ ქუჩური ლანძღვა-გინებისა და მუშტი-კრივის არაფერი გვწამს და არც არავის ნებას არ მივცემთ, ისიც ჩვენის სახელით, ასე უტიფრათ და საზიზღრათ ილანძღებოდეს. *)

ხალხი და სათათბირო

დეპეშები სახელმწიფოს წევრ ამხ. მიხაილიჩენკოს სახელზე.

დრუჟკოვკის ქარხნის მუშებისაგან. „ჩვენ, დრუჟკოვსკის და გორლოვკის ქარხნის მუშებმა, განვიხილეთ კრებაზე, რომელსაც სამი ათასზე მეტი კაცი დაესწრო, თქვენი მოწოდება მუშათა მიმართ. ამით ჩვენ უფრო მტკიცეთ დავრწმუნდით, რომ ნებაყოფლობით მთავრობა არაფერს დაგვითმობს, ღრმათ დავრწმუნდით, რომ საჭიროა ბრძოლისათვის შეკავშირება.

უფრო ხშირ-ხშირათ მოგვმართეთ, ამხანაგებო, მოწოდებებით. ჩვენ მრავლათ ვავრცელებთ მას ხალხში და ახლაც იშვიათია ისეთი კაცი, რომელსაც არ ესმოდეს იმისი აზრი. მტკიცეთ დაიცავით მუშათა კლასის იდეალები და გახსოვდეთ, რომ პირველსავე ბრძოლის ნიშანზე ერთი კაცივით, ერთის გრძნობით გამსჭვალულები მწყობრათ გამოვალთ

---

*) ამ პროტესტზე ხელი უწერია 60 მუშას. რედ.

ტანჯულთა უფლების დასაცავათ. გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას, როგორც ერთათ ერთ საშუალებას უკეთესი ცხოვრებისას.

მთელი კრების მინდობილობით,

თავმჯდომარე **ქ. კოზარენკო.**

ბალაშევ'ს მოქალაქეთაგან. „ჩვენ, ბალაშევის მოქალაქენი, რიცხვით 1000 კაცზე მეტი, ვუერთდებით მუშათა დეპუტატების მოწოდებას, რომ თვითმპყრობელ მთავრობასთან ერთათ სახელმწიფო სათათბირო უძლურია, რომ მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლია ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამ მიზნის მისაღწევ ბრძოლაში, ჩვენ თქვენთან ვიქნებით და გვრწამს, რომ მილიონი ხალხის წინაშე დაემხობა თვითმპყრობელი თვითნებობა და ხალხი მოიპოვებს მიწას და თავისუფლებას.

ბასნევი.

სტ. კრამატორსკის მუშებისაგან. კრამატორსკის სტანციის მუშებმა 28 მაისის მიტინგზე, რომელსაც 1000 კაცზე მეტი დაესწრო, განვიხილეთ რუსეთის დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა და იმ დასკვნამდე მივედით, რომ სახელმწიფო სათათბიროს არ შეუძლია დააკმაყოფილოს ხალხის მოთხოვნილებანი, რომ აუცილებელია დამფუძნებელი კრების მოწვევა. ამიტომ ვაცხადებთ, რომ ჩვენ მხარს დავუჭერთ სათათბიროს იმგვარ მოთხოვნათა წამოყენებისათვის, რომლისთვისაც იბრძვიან მუშათა და გლეხობის დეპუტატები. ხოლო თუ სათათბირო მთავრობასთან მორიგების გზას დაადგება, მაშინ საყოველთაო აჯანყება ლგვის მასაც თვითმპყრობელობასთან ერთათ

თავმჯდომარე **ჟარიკოვი**

სოფ. ნიკოლსკის გლეხებისაგან. ჩვენ, სოფ. ნიკოლსკის მცხოვრებნი, რიცხვით ხუთასი კაცი დაგვარწმუნა საერობო უფროსის მიერ წაკითხულმა მინისტრის დეკლარაციამ, რომ მთავრობამ ფეხით გასთელა ხალხის მოთხოვნილებანი. ხალხის ინტერესების ასე აბუჩათ აგდებამ გულის სიღრმემდი აღგვაშფოთა ჩვენ. აღარ გვაქვს მოთმინება ძველებურათ ცხოვრებისა! მოითხოვეთ მთელი მიწა და უფლება! მოითხოვეთ სრული ამნისტია და სიკვდილით დასჯის გაუქმება! მოითხოვეთ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნები! გახსოვდეთ, რომ ჩვენ თვალ-ყურს ვადევნებთ ყოველ თქვენს ნაბიჯს და გაჭირვების დროს მხარში ამოგიდგებით. გაუმარჯოს თქვენს ბრძოლას, გლეხთა მინდობილობით: პეტროვი, კუზნეცოვი, ეფრემოვი და დრაჩევი.

ადესის მეჩექმეთაგან. ჩვენ მეჩექმეთა პროფესიის მუშები, რიცხვით 1000 კაცზე მეტი შევიკრიბეთ 28 მაისს პროფესიონალური კავშირის დასაარსებლათ, მაგრამ ადესის ფაშის ყარანგოზოვის განკარგულებით პოლიციამ გარეკა კრება. ამისათვის ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ 4 მარტის კანონის წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლის მშრომელი კლასის ორგანიზაციას. ჩვენ მხარს ვუჭერთ მუშათა ჯგუფის თავგანწირულ ბრძოლას დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის. იბრძოლეთ ბოლომდის! მუშათა კლასი თქვენ მხარში ამოგიდგებათ! გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას! ამხანაგების მინდობილობით **აბრამოვი.**

სახელმწიფო სათათბიროს მუშათა ჯგუფმა მიიღო შემდეგი მოხსენება. „ჩვენ, უსტ-დვინსკის გარნიზონის სალდათებმა განვიხილეთ ჩვენი დამოკიდებულება სახალხო მოთხოვნილებათა მიმართ და შემდეგ დასკვნამდე მივედით. გვწამს, რომ ხალხის მოთხოვნილება სამართლიანია, რომ იგი მიმართულია საყოველთაო სიკეთისაკენ და რომ ამ მოთხოვნილებათა სისრულეში მოყვანას ხელს ვუშლით ჩვენ, სალდათები.

ახლა საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ ეს როლი ხალხის ჯალათებისა ჩვენ გვძაგს, გვეზიზღება, რომ ჩვენც, სალდათებიც, ამ დიდებული ხალხის ნაწილს შევადგენთ, რომლის ოჯახებს ძალით მოგვგლიჯეს და მოგვაშორეს. გვესმის რა სამშობლოს დაცვა ამ სიტყვების ჭეშმარიტი მნიშვნელობით, ჩვენც ერთხმათ ვუერთდებით ხალხის მოთხოვნილებას და მოვითხოვთ თქვენგან, მუშათა დეპუტატებისაგან, როგორც მუშათა კლასის დამცველთაგან, იმ მუშათა კლასის, რომლის ნაწილსაც ჩვენ შევადგენთ, რომ დაუყონებლივ მოითხოვოთ სამხედრო, გაძლიერებული და საგანგებო დაცვის წესების ახსნა, მოითხოვოთ სიკვდილით დასჯის გაუქმება, მოითხოვოთ საყოველთაო სრული ამნისტია პოლიტიკურ, აგრარულ, სარწმუნოებრივ და სალდათთა მოძრაობაში დამნაშავეთათვის; მოითხოვოთ ხალხის მწამებელთა სამართალში მიცემა, მუდმივი ჯარის გაუქმება და მთელი ხალხის შეიარაღება, მოითხოვოთ დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების საფუძველზე. გულ-მოდგინეთ ვადევნებთ თვალ-ყურს სახელმწიფო დუმის მოქმედებას და თანაც აღუთქვამთ მას დახმარებას.

უსტ-დვინსკის გარნიზონის ჯარის კაცები: საპიორთა და მენაღმეთა როტები, არტილერიის როტა და ქვეითი ჯარის 577 კაცი. ხმები არ მიგვიღია ტელეგრაფის როტის ჯარის კაცთაგან, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ რეზოლიუციის განხილვაში.

ახალი ამბები.

— თფილისის ქუჩებში გენერალ-გუბერნატორის ტიმოფეევის შემდეგი შინაარსის განცხადებაა გაკრული: რადგან ამ ჟამათ გენ.-გუბ. თავის საგენერალგუბერნატოროში მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის წარმომადგენელია, საჭიროა მცხოვრებლები მის წინაშე ქუდს იხდიდენ და ფეხზე წამოდგენ ხოლმე, როცა იგი ქუჩაზე ან საზოგადო საკრებულოებში გამოჩნდება.

— ეს ერთ კვირაზე მეტია რაც **ლიმონათის ქარხნებში გაფიცულნი არიან.**

— **გაიფიცენ** „გუტენბერგ"-ის ასოთ-ამწყობები.

— დაიბეჭდა და ცალკე წიგნად გამოვიდა **ნ. ჟორდანიას წერილები**: სოციალდემოკრატია და სოციალისტ-რევოლიუციონერები. გამოცემა „პროლეტარისა", ფასი 8 კ. წიგნი შეიცავს 48 გვერდს, დაბეჭდილია სუფთათ საუკეთესო ქაღალდზე.

— გუშინ წინ, 8 ივნისს, თფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა კრება თფილისის ამომრჩევლებისა. სხვათა შორის სომეხ-თათართა დამოკიდებულების შესახებ მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა კომისიის მოხსენება იმ მიზეზებზე, რომელთაც 3 ივნისს ღამით თათართა უბანში სროლა გამოიწვიეს, ამომრჩეველთა კრება წინადადებას აძლევს თავის ბიუროს: 1, მიმართოს თფილისის მცხოვრებთ განსაკუთრებით სომხებსა და თათრებს—მოწოდებით, რომელშიაც ახსნილი იქნება ნამდვილი მიზეზები სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტისა და მოიწოდებს თფილისის მცხოვრებთ ამომრჩეველთა ორგანიზაციასთან ერთათ იბრძოლონ ყოველნაირი პროვოკაციის წინააღმდეგ. 2, გამართოს თფილისის სხვა და სხვა ნაწილში მოქალაქეთა კრება, სადაც უნდა ახსნილ იქმნას სამხედრო წესებსა და პოლიციურ-ხულიგანურ მოქმედების შორის დამოკიდებულება, მოითხოვონ დაუყოვნებლივ სამხედრო წესების გაუქმება და სხვა.

— ამას წინათ გაიფიცენ გოლოვინის პროსპექტზე „1 კავკასიის ამხანაგობის" საპარიკმახეროს ქარგლები და შეგირდები, რიცხვით 10 კაცი. ორი დღის შემდეგ მათი მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქმნა.

— ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ მიიღო ბრძანება უწმ. სინოდის ობერ-პროკურორისაგან, რომელშიაც ნათქვამია, რომ გელათის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზი **ადგილიდან დათხოვნილია** და გადაყვანილია უბრალო მორჩილათ სვიატოგორსკის მიძინების უდაბნოში. არქიმანდრიტ ნიკოლოზს (ნამორაძეს) მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის გაწევა ბრალდება იმერეთში.

— როგორც გადმოგვცეს, თელავის მაზრის ს. წინანდალში, ნაფარეულში, ურიათუბანში და იყალთოში ამ დღეებში **დიდი მიტინგი გაუმართავთ** ს.-დემოკრატების მეთაურობით. მიტინგს ხალხი ბლომათ დასწრებია. თელავიდანვე ჩამოსულებმა გადმოგვცეს, რომ თელავის მაზრის საუფლისწულო მამულების გლეხები გაფიცულან.

— სოფ. წილკნიდან გვატყობინებენ: ამ დღეებში გოგლა ბუჩუკური თავს დაეცა ღამით ქვრივქალს ქავთარაძეს, წაართვა ფული, დასჭრა იგი და გააუპატიურა. ახლო-მახლო მყოფებმა ბოროტმოქმედი ეზოში დაამწყვდიეს, იარაღის აყრის დროს მას წინააღმდეგობა გაუწევია დარაჯისათვის და ამ უკანასკნელს მოუკლავს ის.

— თფილისში გაიფიცენ მეპურეთა მოსამსახურენი და ეკონომიური მოთხოვნები წარუდგინეს თავიანთ ალებს, მოსამსახურეთაგან 300-მდე კაცი დააპატიმრეს, მაგრამ გუშინ ისევ გაანთავისუფლეს.

— გუშინვე გაიფიცენ თფილისის ტრამვაის მოსამსახურენი. ესენი თხოულობდენ გაფიცვების დროს დათხოვნილ ყველა ამხანაგების უკანვე მიღებას.

— გუშინ წინ, 8 ივნისს, ვოდოპროვოდნი ქუჩაზე, მაისურაძის სახლში უმთავრეს სახელოსნოების ერთმა მუშამ პავლე კატკავენიკოვმა თავი ჩამოიხრჩო. კატკავენიკოვს წერილი დაუტოვებია, სადაც სხვათა შორის სწერია: „მიზეზი? სულ ერთი არაა რაც უნდა იყოს მიზეზი? აი, მაგალითად იმის ნახვის სურვილი თუ რა მდგომარეობაში არიან საიქიოს ჩვენი ბიუროკრატები" და სხვ. კატკავენიკოვს ჯერ საწამლავი მიუღია და რომ იმას არ უმოქმედია, შემდეგ ჩამოუხრჩვია თავი.

— ორშაბათს, 12 ივნისს, დილის 10 საათზე საბჭოში მოხდება უსაქმოთ დარჩენილ მუშათა კრება.

მუშათა შორის.

სოსინის სამღებრო ქარხანა. 5 ივნისს გაიფიცენ სოსინის სამღებრო ქარხნის მუშები და ხაზეინს შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს:

1, 25 პროცენტით ჯამაგირის მომატება; 2, ავათმყოფობის დროს 2 თვით უფასო ექიმობა ჯამაგირისა და ადგილის შენახვით; 3, უმიზეზოთ დათხოვნილ მუშას ხაზეინებმა უნდა მისცენ სამი თვის ჯამაგირი; 4, მოისპოს ზედ-მეტი მუშაობა და ეს ზედმეტი საქმე მიეცეს იმ მუშებს, რომელნიც უსაქმოთ არიან დარჩენილნი, თუ ეს ზედმეტი საქმე აუცილებელი მოთხოვნილებაა ქარხნისა, გარდა მექანიკური რემონტისა, რომლის დროსაც ერთი საათის ზედ-მეტ მუშაობაში მუშას საათ ნახევრის ქირა უნდა მიეცეს; 5, დღიურ მუშას ეძლიოს 85 კაპ. 6) გაკეთდეს ქარხანაში აბანო მუშებისათვის. 7) თვიურ მუშებს მიეცეს ჯამაგირი თვეში ორჯერ. 8) წელიწადში ერთი თვე თავისუფლება ჯამაგირის შენახვით. 9) გაფიცვის დროის სამუშაო ქირა მიეცეს მუშებს უკლებლივ. 10) დღიური მუშები, რომელნიც იმუშავებენ ერთ თვეს, ჩაირიცხონ შტატის მუშებათ. 11) უკეთუ ხაზეინმა უარყო ეს მოთხოვნილებები და ქარხანა დაკეტა, ვალდებულია მისცეს მუშებს სამი თვის ჯამაგირი.

პარტიის ცხოვრებიდან

როგორც მკითხველებმა იციან რ. ს. დ. მ. პ. შემაერთებელმა სიეზდმა უარყო ბოიკოტის ტაქტიკა და საჭიროთ სცნო დუმაში მონაწილეობის მიღება, დუმის შიგნიდან და გარედან ძალდატანება და ამნაირათ მის რევოლიუციის იარაღათ გამოყენება. სიეზდის რეზოლიუცია აშკარათ აღიარებს დუმის რევოლიუციონურ და ოპოზიციონურ ნაბიჯების მხარის დაჭერას, მისა და მთავრობის შორის კონფლიქტის გაღრმავებას. აქედან ცხადია თუ როგორი უნდა იყოს დღეს პარტიის პოლიტიკა დუმის შესახებ. ეხლა კონფლიქტი მთავრობასა და დუმას შორის უკვე არსებობს. მთავრობამ 13 მაისს თავის დეკლარაციაში ცივი უარი უთხრა ყველა მოთხოვნილებებზე დუმას. დუმამ მოითხოვა არსებული სამინისტროს გადაყენება და დუმისაგან დანიშნული პასუხის მგებელი სამინისტროს შედგენა. თანახმათ სიეზდის დადგენილებისა საჭირო იყო დუმისათვის მხარის დაჭერა ამ მოთხოვნილებაში. და აი ცენტრალურმა კომიტეტმაც გამოიმუშავა ამის შესახებ შესაფერი რეზოლიუცია და წინადადება მისცა პარტიულ ორგანიზაციებს, გაეტარებიათ მუშათა კრებებზე და მიტინგებზე. მარა პეტერბურგის კომიტეტმა, რომელშიაც უმრავლესობა ყოფილი „ბოლშევიკებია" ცენტ. კ. პლანი უარყო, გამოიმუშავა სულ წინააღმდეგი რეზოლიუცია და გააქვს მასსიურ კრებებზე. ამან ძლიერ გაამწვავა დამოკიდებულება ყოფილ „ბოლშევიკებსა", და „მენშევიკებს" შორის და ლამის არის ახალი რასკოლი გამოიწვიოს პარტიაში. ამის შესახებ აი რას სწერს ამხ. მარტოვი გაზ. „კურიერის" მე-13 ნომერში:

„ამას წინათ პეტერბურგის კომიტეტმა გამოსცა დეკლარაცია დუმის მიმართ ჩვენი ტაქტიკის შესახებ. ამ დეკლარაციაში, რომელიც არღვევს სიეზდის რეზოლიუციას და რომელიც ერთხმათ იქნა მიღებული, აშკარათ აღიარებულია, რომ დუმა შესაძლებელია გადაიქცეს რევოლიუციის მძლავრ იარაღათ და საჭიროა მასსა მოვიწოდოთ მხარ დაუჭიროს დუმის ყოველ რევოლიუციონურ ნაბიჯს, რომელიც მიმართული იქნება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. რამდენიმე დღის შემდეგ პეტერ. კომ. გამოიცვალა აზრი და ეხლანდელ რეზოლიუციაში სულ უარყოფს მას. ეს წინააღმდეგობა მოწმობს ეხლანდელი პეტერბურგის კომ. უვარგისობას, მარა ის მაინც ამტკიცებს, ვითომ ც. კ. რეზოლიუცია არ ეთანხმებოდეს სიეზდის გადაწყვეტილებას.

მარა თუ გინდ ასეც ფიქრობდეს პეტ. კომ., მას აქვს უფლება მოითხოვოს ახალი სიეზდი ცენტ. კ. ხელახლა ასარჩევათ, რომელსაც არ შეუძლია ცხოვრებაში გაატაროს პარტიის აზრი და სურვილი. პოლიტიკური კომპანიის ჩაშლის ნება, რომელიც ც. კ. მთელ რუსეთში უნდა გაატაროს, მას არ აქვს და რასაც ამ მხრით ის ჩადის პარტიის დეზორგანიზაცია და შეგნებულათ თუ შეუგნებლათ რასკოლის გამოწვევაა.

სურთ რომ პეტერბურგის მუშებმა ხელი შეუწყონ პეტ. კომ. ამ კეთილ საქმეში? ამ კითხვაზე უფლება აქვს პასუხი მოთხოვოს მათ ყველა პარტიის წევრს და ყველაზე უწინ კი ბოლშევიკ—მუშებს. მენშევიკ მუშებმა თავისი მოქმედებით დაამტკიცეს, რომ პარტიის ერთობა მათთვის ცარიელი სიტყვა არ არის. როცა ჯერ კიდევ საერთო ცენტრი არ გვყავდა და პარტიის გადაწყვეტილება ხელთ არ გვქონებია და თვითეული ორგანიზაცია ცალკე წყვეტდა სოციალდემოკრატიის პოლიტიკას, მაშინ მენშევიკი მუშები არა თუ ცდილობდენ ბოიკოტის ჩაშლას, რომელიც ორგანიზაციათა უმრავლესობამ მიიღო, არამედ აქტიურათ ხელს უწყობდენ მას ცხოვრებაში გაყვანას. ვიბორგის, ქალაქის და ვასილიევის რაიონებში, სადაც პარტიული მუშების უმრავლესობა ბოიკოტის წინააღმდეგი იყო—ეს ბოიკოტი მშვენივრათ გატარებულ იქნა ,,მენშევიკების'' დისციპლინის მეოხებით.

ეხლა რიგი ბოლშევიკ-მუშებზეა. პეტ. კომიტ. და ,,ვოლნის'' ინტელიგენტებმა გადააჭარბეს. მათ ფრაქციის ინტერესები პარტიის ინტერესებზე მაღლა დააყენეს. ბოლშევიკი-მუშები კი ხმას არ იღებენ. ისინი თავისი დუმილით ხელს უწყობენ დეზორგანიზაციას და თავისი ხელით კრეფენ ნარს იმათთვის, ვისაც ეს რასკოლი უნდა. ან-და შეიძლება იმათ სწამთ ისეთი სასაცილო საბუთი, ვითომ კომიტეტების ავტონომიის ძალით პეტ. კომიტეტს აქვს უფლება თავისი პოლიტიკა აწარმოვოს, მოსკ. კომ. კიდევ თავისი და ასე ბოლომდის''.

ბოლოს ავტორი სამართლიანათ კითხულობს: ,,თუ პარტიის შეერთება არ გვაძლევს ერთ სავალდებულო პოლიტიკას, რისთვის ისევ ცალ-ცალკე არ დარჩა ფრაქციები? თუ შეხედულებათა განსხვავება ნებას არ გვაძლევს ერთად ვიმოქმედოთ, ისე, როგორც მოქმედობს ,,ბუნდა'' და სოც.-რევოლ., რომელთა შორის ცოტა უთანხმოება არ არის, მაშინ რისთვის შევერთდით? თუ ც. კ. პოლიტიკა, ბოლშევიკების შეხედულებით, პროლეტარიატს ხალხის თავისუფლებით მოვაჭრე მაკლერებათ ხდის, მაშინ რისთვის უნდა დავიცვათ პარტიული ერთობა, რისთვის არ უნდა გავიყოთ?''

დეპეშები

(პეტერბურგის სააგენტო).

8 ივნისი.

პეტერბურგი. მშრომელთა ჯგუფმა დემონსტრატიულათ უარი განაცხადა 7 ივნისს დუმის აგრარულ კომისიის კრებაში მონაწილეობის მიღებაზე.

მოსკოვი. 7 ივნისს საღამოს პოლიციას და გაფიცულ მეჩექმეებს, რომლებიც თავმოყრილი იყვენ მიტინგზე, შეტაკება მოუვიდათ. ორი მეჩექმე მსუბუქათაა დაჭრილი და ერთი მოკლულია.

ბელასტოკი. გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით ქალაქში მოძრაობა აკრძალულია საღამოს 10 საათიდან ღამის 3 საათამდე.

ვარშავა. ვიღაც უცნობები დაეცენ ფოსტას, ფოსტალიონი და კუჩერი მოკლეს, 15,000 მ. წაიღეს და მიიმალენ.

ადესა. სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა სამ კაცს, რომელთაც ბრალდებათ მაღაზიის გაძარცვა.

სევასტოპოლი. „კრეპოსტნოი არტილერიის მეორე ბატალიონი აჯანყებულებს არ შეუერთდა სურვილი—ქალაქისთვის ზარბაზნები დაეშინათ განხორციელდა. ღამით მეორე ბატალიონს ჯარი შემოარტყეს. გამოირკვა, რომ ესენი არ იყვენ აჯანყებული და გაანთავისუფლეს.

ხარკოვი. ლებედინის ვოლოსტის სამმართველოს თავს დაეცენ. მოკლეს მცველები და ფული წაიღეს.

ორიოლი. შენშინის მამულში ყველა შენობები გადაწვეს. დაიჭირეს ექვსი გლეხი.

პეტერბურგი. სახელმწიფო დუმა. გაარჩიეს „მოქალაქეთა თანასწორობის" საკითხი. ალადინი ამბობს: უმჯობესია ქალებს უფლებები მიეცეთ, თორემ უფლებას ქალები მამაკაცებს თავისი ხელით გამოგლეჯენ. მოითხოვს—თავად-აზნაურებმა უარი თქვან თავიანთ განსაკუთრებულ უფლებებზე (ტაშის ცემა უკიდურეს მემარცხენეებში). გეიდენი უპასუხებს - თავად-აზნაურებს არავითარი უფლებები აღარ დარჩენიათ, სულ „პუსტიაკებია" და მე მრცხვენია კიდეც მათზე უარი ვთქვაო. რიცკოვი ამტკიცებს—ებრაელთა უუფლებობა მიზეზი ებრაელთა პაგრომებისაო. შჩეპკინის აზრით უუფლებობა და უთანასწორობა ხალხს არა მარტო რევოლიუციის გზაზე ერეკება, არამედ სახელმწიფო წეს-წყობილების უარყოფას და ანარქიზმს ბადებსო. სხდომა შეწყდა. განახლებულ სხდომაზე იუსტიციის მინისტრმა, დუმის შეკითხვის გამო, განაცხადა, რომ ვარშავაში ორი კაცის სამართალში მიცემა არაფერი უკანონობა არააო. შინაგან საქმეთა მინისტრი საზოგადო ხასიათის პასუხს იძლევა შჩერბაკის საქმის თაობაზე (ყვირილია „ბელასტოკის პაგრომი?"). მინისტრი ტრიბუნიდან ჩამოდის, საშინელი ხმაურობაა. სხდომა შესწყდა. განახლებულ სხდომაზე უმრავლესობამ უარყო მშრომელთა ჯგუფის პროექტი აგრარულ კითხვის შესახებ კომისიაში გადაუცემლათ. დუმამ მიიღო ვადიანი შეკითხვა შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრის მიმართ სასიკვდილო განაჩენის შეჩერების შესახებ, რომელიც ვარშავაში სამ კაცს აქვს მისჯილი.

პეტერბურგი. სახელმწიფო დუმა. მინისტრი ამბობს, მართალია ჟანდარმები ერეოდენ პოლიტიკურ საქმეებში, მაგრამ დარიგებას მათ ჩვენ ვაძლევდითო. ვოლოგდაში და კალიაზინში მომხდარი არეულობა თვით მანიფესტანტების ბრალი იყო. 4 ივნისს ცარიცინში დამნაშავეა პოლიცია, და იქ კიდეც დაინიშნა გამოძიება. პოლიცია ყოველგან თავგამოდებით ასრულებს თავის მოვალეობას. (ისმის სიცილი და ყვირილი, „კმარა"), არეულობების დროს დაიხოცა 288 კაცი და დაიჭრა 383 (ხმები, „ეგ ცოტაა"). თავმჯდომარე ზარს აწკარუნებს და მოითხოვს სიტყვის თავისუფლება ყველას ქონდესო. მინისტრმა სიტყვა ასე გაათავა: ჩვენ ვიცავთ მშვიდობიანობას და თქვენც ჩვენგან ჩვენი მოვალეობის გონიერათ და სასტიკათ შესრულება უნდა მოითხოვოთო. თავ. ურუსოვმა აღნიშნა მინისტრი გულწრფელათ ლაპარაკობსო, მაგრამ ის მაინც მაკვირვებს, რომ ამა თუ იმ მინისტრის ნებაზეა დამოკიდებული მთელი პოლიციის მოქმედება; შემდეგ აღნიშნა ის საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც თავის ნებაზე ატრიალებს მთავრობას და სახელმწიფო კითხვების გადაჭრაში დიდ სიმხეცეს იჩენსო; დასასრულ აცხადებს: დუმას სურს მეფე დააყენოს პარტიული ბრძოლის გარეშე, რომ მან იზრუნოს მხოლოდ სახელმწიფოს კეთილდღეობაზე, რაშიაც მას ხელს უშლიან ის ბნელი ძალები, რომლებიც შესდგებიან გოროდოვოების, შავრაზმელების, ვახმისტრების და სხვა ასეთ პაგრომშჩიკებისებურ ადამიანთაგანო (განუწყვეტელი ტაშის ცემა, მემარცხნეთაგან ხმები: ხულიგანები! „ატსტავკა!). ვინავერი ამბობს, სხვათა შორის: „ადგილობრივი ანარქია ისე არ არის სახიფათო, როგორც ანარქია ბრწყინვალე". ამის შემდეგ მინისტრმა მოითხოვა ლაპარაკის ნება, მაგრამ ატყდა ყვირილი: „ძირს", „ატსტავკა"-ო და სხვ. მინისტრმა მაინც თქვა: ეს თანამდებობა ხელმწიფისაგან მიმიღია, ბოლომდის შევასრულებ და პასუხის მგებელიც მე ვიქნებიო. ზალაში ყვირილმა და პროტესტმა უკიდურესობამდე მიაღწია. როდესაც კავკასიის დეპუტატმა მოინდომა პასუხის გაცემა, ყვირილი მაშინაც არ შესწყდა. მაშინ თავმჯდომარემ კრება ერთი საათით დახურა. განახლებულ სხდომაზე მინისტრს სიტყვა არ მისცეს. ნაბოკოვმა აღნიშნა, რომ რუსეთს მართლა გოროდოვოები და როტმისტრები განაგებენო, დროა მათაც მიბაძონ ვოლოგდის გუბერნატორს და სამსახურიდან გაიდენო. მინისტრმა დააპირა პასუხის მიცემა, მაგრამ მემარცხენენი არ აძლევენ საშუალებას ყვირილით: „ძირს, არ გვინდა!". მინისტრმა მაინც მოახერხა ეთქვა—მე სრულებით არა ვარ როტმისტრი და რაკი მინისტრათ დავდექი, ამიერიდან უკანონობა აღარ იქნებაო. (პროტესტები).

რედ.-გამომცემელი **ქ. თავართქილაძე**

სტამბა „ლამპარი", ქ. თავართქილაძისა, სემინოვის ქ., № 4.